№ 2851
შაბათი,
2 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2851
შაბათი,
2 ივლისი

ხელისმ. ღირს: წელიწადში—6 მ., „თვეში დამატებით—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

„ჯეჯილი"-ს რედაქცია მწუხარებით აუწყებს უდროოდ დაკარგვას რედაქციის წევრისა და მუდმივ თანამშრომლის

ქნ. სოფიო ირაკლის ასულის ციციშვილისას,

რომელიც გარდაიცვალა სოფ. კახეჯვარში, 18 ივნისს.

სულის მოსახსენებელი პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შაბათს, 2 ივლისს, დილის 12 საათზე. (2—უ.—2).

გამოვიდა და იყიდება კარლ კაუცკის

ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი

(საფრანგეთის წარსულიდან)

ანუ კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს. თარგმანილ. ელიავასი.
ფასი ერთი აბაზი. (5—5—5)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვ უ რ ჩ ე ვ თ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელი.
შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ. (0—47)

გ ო რ შ ი
ს ა ქ ა ლ ა ქ ო ბ ა ღ შ ი,
კვირას, 3 ივლისს, გაიმართება „ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ
სეირნობა
(2—უ.—1) და ბაზარი.

იმერეთის გაბრიელის სახელობის საქალებო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო, თანახმად თავის დადგენილებისა, ამით აცხადებს ზემო აღნიშნული სასწავლებლის მოწაფეების მშობელთა და მზრუნველთა საყურადღებოდ:
1) კლასიდან კლასში გადასაყვანი და სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება 16 აგვისტოს და გასტანს 6 ენკენისთვემდე; 2) სხვა ეპარქიების და საერო სკოლების მოწაფენი, რომელთაც ჯერ შემოუტანელი აქვთ მიმდინარე სამოსწავლო წლის მეორე ნახევრის სწავლის ფული, ვალდებულნი არიან ეს ფული ეგზამენების წინ წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებლიდან დათხოვნილ იქნებიან; 3) საგნებში გამოცდა მოხდება სრულის პროგრამით. (2—2)

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი"
(მეორე სახლი ფუნიკულიორიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანიძე. (15—244—14)

ახალი ბუფეტი
„არარატი"
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა)
სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.
(ივ.—6.—30) პატივის ცემით ვანო.

ე ქ ი მ ი
ბ. ა. გ ე დ ე ვ ა ნ ი ნ ი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—33)

ე ქ ი
ვ. ს. მუსხე ილი
მიიღებს თვალებით ავადმ ხელ დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ ებში რდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი ორი ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ე ქ
ნ. ტ. მ ნ ი
ყელის, ცხვირის და ყურ ადგებს იღებს ყოველ დღე, დილით 12- ღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № ივის (20—6.—18)

კბილის ექიმი
ა ლ. ს ო ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—27)

კბილის ექიმი
ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდია. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 ივნისი

ორიოლი, 30 ივნისი. დიმიტროვსკში გაიხსნა სესია მოსკოვის სამოსამართლო პალატისა ლობანოვის ეკონომიის დაწვრის შესახებ; გაიხსნა აგრეთვე სესია ხარკოვის სამოსამართლო პალატისა სევსკში ბარონ მეიენდორფის, ბობილევის და მიტარევსკის ეკონომიების განადგურების შესახებ.

პარიზი, 30 ივნისი. მოვიდნენ ინგლისის ოფიცრები, ევროპიულად ჩაცმულნი, რათა პარიზის საუკეთესო ადგილები დაათვალიერონ.

პალატის სხდომა. დეპუტატი დაზი კრიტიკას უშვრება ამნისტიის პროექტს და ძლიერ გაცხარებული შეეტაკება ანდრეს. ხალხი ღელვას იწყებს. მინისტრი ბერტო პროტესტს აცხადებს დაზის წინააღმდეგ და ამბობს, ჩემს ხელმონაწერს პროექტზე წავშლიო და სხდომას სტოვებს.

მოსკოვი, 30 ივნისი. ქალაქის მუშების შვიდმა დეპუტატმა პეტიცია წარუდგინა ქალაქის თავის ამხანაგს, ნება მიეცეთ მუშების დელეგატებს საბჭოს დარბაზში შეკრებისაო.—შუვალოვის ადგილას ასახელებენ ადესის გარდონაჩალნიკ ნეიდგარდტს და ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსის თანაშემწეს ბარონ მედემს.

სტამბოლი, 30 ივნისი. პორტამ სადამოთი პასუხი გასცა ელჩებს ორივე ნოტაზე, სადაც ის უარს ამბობს სახელმწიფოების მიერ განზრახულ საერთაშორისო საფინანსო კონტროლის შემოღებაზე მაკედონიაში. პორტას განზრახვა აქვს, საკუთარი კონტრ-პროექტი წარადგინოს.

ბერლინი, 30 ივნისი. თ. ბიულოვმა გუშინ კონფიდენციალურად აუწყა კავშირთა საბჭოს კომისიას ეცხოეთის პოლიტიკის შესახებ. ეს კომისია ძლიერ იშვიათად იკრიბება ხოლმე; უკანასკნელი სხდომა ჩინეთის ექსპედიციის წინ იყო. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ კომისიის პრეზიდენტმა ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტ პოდევილსმა, სრული ნდობა გამოუცხადა მოკავშირე სახელმწიფოებისაგან იმპერიის კანცლერს მისს უცხოეთ პოლიტიკაში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 ივნისი

ლონდონი, 30 ივნისი. აქ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება იქონია ხმამ, ვითომც ვიტტეს რუსეთი თავის რწმუნებულად ნიშნავდეს ზავის შესახებ. ზავი უზრუნველყოფილად მიაჩნიათ აქაურებს. „დეილი-ტელეგრაფ"-ი ამბობს, ზავის საქმეს სჭირია ძლიერი კაცი, რომელსაც ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი რუსეთის მდგომარეობა და ასეთია ვიტტე. მართალია, რუსეთმა ომი ვერ მოიგო, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის პატივი შელახულიყოს. რუსეთს განუსაზღვრელი საშუალება აქვს. ვიტტემ იცის, რომ ზავი საჭიროა, ვინაიდან რუსეთის სამხედრო ძლიერების დასუსტებამ ევროპის ცხოვრებაში უსწორ-მასწორობა შეიტანა. როცა რწმუნებულნი შეხვდებიან, მთელს ქვეყნიერებას განცვიფრებს იაპონიის მიერ წამოყენებული მოთხოვნები.

პარიზი, 29 ივნისი. ქირურგიულ საზოგადოების სპეციალურმა კომისიამ უვარგისად სცნო დოიენის მიერ კუს საწინააღმდეგოდ გამოგონილი სითხე.

ლონდონი, 30 ივნისი. მუშათა პარტიის დეპუტატმა გარდომ მოითხოვა მთავრობისაგან, ჩქარა გადახედეთ უხელსაქმოთა შესახებ კანონპროექტი, თორემ დაგვიანებას შეუძლიან არეულობა გამოიწვიოსო.

ალექსანდროვსკი, 29 ივნისი. გუშინ საღამოს ურიდობა მოხდა დნეპრის ნაპირას. მონაწილეობას იღებდა ქალაქის მოსული და ადგილობრივი მუშა. პოლიციამ დაშალა მოსახლეობა, მუშებმა წესიერების გარანტია აღუთქვეს. ურიდობამ ერთს საათს გასტანა და მშვიდობიანად ჩაიარა.

გიბრალტარი, 30 ივნისი. ჯავშნოსან „იმპლეკაბლ"-ზე აფეთქება მოხდა, რამაც 6 მატროსი მოჰკლა და სამიც დასჭრა.

მოსკოვი, 30 ივნისი. შუვალოვის გვამი დიდის ამბით გაასვენეს ნიკოლაევსკი ვოკზალზე. კუბოს მისდევდნენ მთავრობის წარმომადგენელნი, უმაღლესნი პირნი, საზოგადოება და ჯარები. კუბო ნიკოლაევსკის გზით გაგზავნეს შუვალოვების საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად.

ადესა, 20 ივნისი. მომრიგებელ მოსამართლეთა სიეზდმა განიხილა 102 პირის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ, ქურდობა ჩაიდინეს პორტში ცეცხლის გაჩენის დროსაო. 74 კაცი გაამართლეს, 28 თვენახევარი ციხე გადაუწყვიტეს. ციხეში ჩამწყვდეული 75 კაცი, რომელნიც „გიორგი პობედონოსეც"-ზე აჯანყების მეთაურებად ითვლებიან, კერჩში გაგზავნეს სამართლში მისაცემად.

პეტერბურგი, 30 ივნისი. ბირილევმა, შეუდგა-რა თავის თანამდებობათა ასრულებას, პრძანება დაუგზავნა თავის ხელ-ქვეითებს, ნუ წარმომიდგებითო.

რიგა, 30 ივნისი. გუშინ რუსის საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა უთფილ გუბერნატორ პაშკოვს.

პეტერბურგი, 30 ივნისი. სედლეცის გუბერნიის, ლასკარჟევის უბანში, 2 ივნისს, აღმოაჩინეს მენინგიტით ავადმყოფი.

მოსკოვი. შუვალოვის მკვლელი საშიშ პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა. პრესნენსკის საპყრობილიდან გაქცევის შემდეგ, მისს მოსაძებნად დიდძალი ფული იყო გადადებული. როცა ტრუბეცკოის დუქნის ქარხანას ცეცხლი ეკიდებოდა, შეამჩნიეს, რომ იგი ცრადონაჩალნიკს უახლოვდებოდა. შუვალოვის მოკვლის შემდეგ, დამნაშავეს სცემეს და გვერდები ჩაუმტვრიეს.

ბათუმი, 30 ივნისი. საერთო გაფიცვამ ხუთს დღეს გასტანა, ორგანიზატორების განკარგულებით გაიღეს ყველა მაღაზიები, ბირჟაზე ფაიტონები გამოვიდნენ. ყველა შიშს ქვეშაა.

მილანი, 30 ივნისი. ტიტონი ეკსლებენში წავა რამდენიმე დღით და იქიდან პარიზს მივა რუვიეს სანახავად.

ბერლინი, 30 ივნისი. მეფე ქრისტიანე გუშინ მოულოდნელად წავიდა კოპენჰაგენში, ჰფიქრობენ, მისს წასვლას კავშირი აქვს პრინც-კარლის ნორვეგიის ტახტზე დანიშნასთანო. „მაგდებ ბურგ-ცაიტუნგ"-ი იუწყება, პრუსიის უმაღლეს ტეხნიკურმა სასწავლებლებმა უფრო გაამძნელეს რუსისა და პოლონელ სტუდენტების მიღებაო.

სარატოვი, 30 ივნისი. დაატუსაღეს ბევრი მუშა სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიებისა, სტამბებში აღმოაჩინეს პროკლამაციები იპოვნეს.

პეტერბურგი, 30 ივნისი, ოფიციალური. მინისტრთა კომიტეტის საგანგებო ჟურნალიდან ამოღებული, 31 მაისის თარიღით. იანვარში კომიტეტში წარდგენილ მოხსენებაში მინისტრმა მურავიოვმა აღნიშნა, საჭიროა სრულიად გააუქმდეს ანა და ძირითადათ შეიცვალოს ვოლოსტის სასამართლო, ჩამოერთვას საერობო და საქალაქო უფროსებს სასამართლო უფლება და გადაეცეს საზოგადო უსტიციას, დაწესებულ იქნას მაზრებში ერთ-პიროვანი სასამართლო ორგანოები იუსტიციის სამინისტროს უწყებისა, რომელნიც უნდა შეუკავშირდეს საერთო სასამართლო ორგანიზაციას და გაუქმებულ იქნას ადმინისტრაციისადმი მინიჭებული უფლება, დამნაშავის დასჯისა. მურავიოვის აზრით, სასამართლო დაწესებულებისადმი დამოუკიდებლობის მინიჭებისთვის, სასურველია მათი განთავისუფლება ადმინისტრაციისაგან და სასამართლოს უწყებაში მოსამსახურეების უზრუნველყოფა ნივთიერად. ამ მოსაზრებათა განხორციელებას მურავიოვი აპირებდა სახელმწიფო საბჭოში შესაფერ მოხსენების წარდგენით სათანადო მინისტრების მიერ. მურავიოვის მოხსენებასთან ერთად კომიტეტმა განიხილა ჟურნალი სამეურნეო-სამრეწველო საჭიროებათა უმაღლეს კომისიისა შესახებ საგლეხო სასამართლოსა. რჩევის 19 წევრი საჭიროდ სცნობდა საგლეხო სასამართლოს საერთო დაქვემდებარებას, 4-მა კი ის აზრი გამოსთქვა, ამ საჭიროთ დაცულ იქნას საგანგებო საგლეხო სასამართლო. მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე, მინისტრმა მანუხინმა მხარი დაუჭირა მურავიოვის მოხსენებას. კომიტეტმა საჭიროდ სცნო, მიანდოს იუსტიციის მინისტრს, დაუყოვნებლივ შეუდგეს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ, სახელმწიფოში ერთიან სასამართლო ნაწილის შემოღების საკითხის შემუშავებას და ისარგებლოს, იუსტიციის სამინისტროში მყოფ მასალის გარდა, სამეურნეო მრეწველობის შესახებ უმაღლეს კომისიის შრომით, რომელიც ძლიერ სასარგებლოსა და სრულს დოკუმენტებს შეიცავს. კომიტეტმა დაადგინა, ეთხოვოს ხელმწიფეს ამისი ნებართვა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლის ველზე. „ნ. დ."-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს, სხვათა შორის: „ჩვენ კიდევ ჩვენს აზრს ვადგევართ; ეხლაც ვამტკიცებთ, რომ იაპონელებისათვის სრულიად არ არის საჭირო ხარბინისაკენ წავიდნენ ან გირინი დაიჭირონ. იაპონელების ერთად-ერთი მიზანი ლინევიჩის ჯარის დამარცხებაა. და თუ ოიამა წინ წამოიყვანს თავის ჯარებს, ეს იქნება მრისხანე ნიშანი იმისა, რომ იაპონელები სავსებით მზად გრძნობენ თავს ამ საქმის შესასრულებლად.

ზავზე ჩამოვარდნილი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა აძნელებს სამხედრო ოპერაციების აწონ-დაწონვას. მართლაც, თუ იაპონელები გულწრფელად არიან მოწადინებული რუსეთთან შერიგებას, შეუძლებელია პოლიტიკურმა განზრახვებმა არსებითი გავლენა არ იქონიოს სტრატეგიულ კომბინაციებზე. მაგრამ ჩვენმა მოწინააღმდეგემ, ალბად, ძალიან კარგად იცის, რომ თუ პოლიტიკა სტრატეგიაში გაერევა, შედეგი ყოველთვის სამწუხარო ყოფილა. სულ სხვა საქმეა, როცა სტრატეგია ბოლომდე მიიყვანს ომს—მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიდეს სცენაზე პოლიტიკა.

ამიტომაც მტრის მოქმედების შეჩერებას ჩვენ ვერ ავხსნით ჩვენთვის სასიამოვნო პირობებით.. თუ იაპონელები ეხლავე არ მოდიან წინ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არც შემდეგში წამოვლენ. და თუ არ შეუძლიათ წამოსვლა, ლოღიკა მოითხოვს დაუყოვნებლივ დავეცეთ თავს მტერს და დავამარცხოთ იგი, სანამ არ მოისპო მტრის შემაფერხებელი გარემოებანი. მაგრამ როგორლაც არც ეს სჩანს და ამიტომ თავსაც ნუ ვინუგეშებთ იმითი, ვითომ მტერი ცუდ პირობებში იყოს".

რუსის ფლოტის ზარალი. რუსეთს დაუკარგავს ამ ომიანობის განმავლობაში ჩვიდმეტი ჯავშნოსანი (ამათგან 14 დიდი საესკადრო ჯავშნიანი გემი იყო და სამი ნაპირების დამცველი), ათი კრეისერი, ექვსი საკანონირო გემი, ორი სანაღმე ტრანსპორტი, ოცდაათზე მეტი ნაღმოსანი და რამდენიმე დამხმარე გემი. ჯავშნიან გემებიდან ოთხი დატყვევებულია, ერთი ჩაძირული ჯავშნოსანი (პერესვეტი) ამოიღეს. ამოღებულია აგრეთვე კრეისერები „ბაიანი" და „ვარიაგ"-ი ერთი დიდი ჯავშნოსანი, ექვსი კრეისერი და ათი ნაღმოსანი ნეიტრალ ნავსადგურებშია თავშეფარებული.

იაპონიის ფლოტი, რომელმაც მოსპო რუსის ორი ესკადრა (წყნარ ოკეანესი და ბალტიისა), შესდგებოდა ექვს საესკადრო ჯავშნოსანისა და რვა ჯავშნიან კრეისერისაგან.

ასეთია სამხედრო შედეგი რუსის საზღვაო უწყების მოღვაწეობისა. შავის ზღვისა და ლიბავის მეზღვაურების აჯანყება ამავე უწყების მშვიდობიან მოღვაწეობის შედეგია. ორი წილი ფლოტისა მტერმა გაანადგურა, ერთიც აჯანყდა. („რაზსვეტ.").

საზოგადოებრივი მოძრაობა ტერრიტორიის მიხედვით *)

დღევანდელ ისტორიულ მომენტის დედააზრია—თანდათანი გაძლიერება საზოგადოებრივ მოძრაობისა. ამ მხრით დიდათ საინტერესოა გავითვალისწინოთ, როგორ არის ეს მოძრაობა განაწილებული რუსეთის სხვა და სხვა ადგილას.

უმთავრესად მოძრაობა გაძლიერებულია რუსეთის იმპერიის დასავლეთ მხარეში; ამ მხრით **ფინლიანდია და პოლონეთი** ისე სჭარბობენ დანარჩენ რუსეთს, როგორც იალბუზი და ყაზბეგი კავკასიის მთებს. მეორე ადგილი მოძრაობის გაძლიერების მხრით უჭირავს **ამიერ-კავკასიას**. რაც შეეხება **თვით რუსეთს**, აქ მოძრაობა უფრო სამხრეთ ნაწილსა და ვოლგის ნაპირას გავრცელდა, ესე იგი, ისევ განაპირა ადგილებში; ნამდვილ შიდა რუსეთს-კი უკანასკნელი ადგილი უჭირავს. სატახტო ქალაქები ჩასათვლელი არ არის, რადგან ისინი ადგილობრივ გრძნობათა გამომხატველნი კი არ არიან, არამედ მთელის ქვეყნისა, მთელის იმპერიის გრძნობამართულებისა.

ეჭვს გარეშეა, რომ „მოძრაობის ასეთი განწილება" შემთხვევითი არ არის. პირველი ადგილი უთუოდ ფინლანდიასა და პოლონეთს უნდა ეჭიროს, რადგან ეს ქვეყნები დანარჩენ რუსეთზე უფრო მაღლა სდგანან კულტურით; ამასთანავე ძველადაც პროგრესიული წესწყობილება ჰქონდათ და ამ ჟამად ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად იბრძვიან.

მეორე ადგილი კავკასიისაა; ამასაც თავისი მიზეზები აქვს. კავკასიას ჯერაც არ დავიწყნია თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ამასთანავე ძალით გარუსების შეუბრალებელმა პოლიტიკამ მეტად ღრმა ჭრილობა მისცა კავკასიის ხალხებს. კავკასიის მოძრაობა ნათლად ხდის რუსებისთვის კიდევ ერთ თვისებას ამ განაპირა ქვეყნისას,—თვისებას, რომელსაც დღემდის ვერ ამჩნევდა რუსეთის საზოგადოება. თითქმის უკანასკნელ დრომდე კავკასიის მთიულნი და სხვ მკვიდრნიც რუსებს ველურებად და ბარბაროსებად მიაჩნდა; რუსის საზოგადოება ჰფიქრობდა, კავკასიელნი ძალიან ჩამორჩნენ რუსებსაო. მაგრამ, ვინც იცის კავკასია, ვინც თვალყურს ადევნებს იმის ცხოვრებას, ვისთვის საიდუმლოებას აღარ შეადგენს ის გარემოება, რომ პირადის ღირსების შეგნებით, თავისუფლების მოყვარეობით და საქმის თაოსნობით კავკასიელი ბევრად უფრო მაღლა სდგას რუსის გლეხზე.

კავკასიელნი—ენერგიული, შრომის მოყვარე და ნიჭიერი ხალხია, იმ საზოგადოებრივ აღფრთოვანებას, რომელიც ახლა რუსეთშია, კავკასიაში თქვენ წინადაც დაინახავდით. რუსეთის წესწყობილების კრიტიკას თქვენ კარგა ხანია გაიგონებდით კავკასიაში: ამგვარი კრიტიკა მოდებულია კარგა ხანია კავკასიის ყველა ერებსა და წრეებში.

კავკასია მდიდარია არა მარტო სასარგებლო და ძვირფას მადნებით, არამედ მცხოვრებთა სულიერის ძალებითაც; ამიტომ კავკასია მალე განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს რუსეთის იმპერიის სხვა პროვინციებს შორის. თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ კიდეც, რომ კავკასიაში მოსალოდნელია დიდი და საუკეთესო პოლიტიკური ცვლილებანი...

საჭიროა განა იმის განმარტება, თუ რატომ გაუსწრეს რუსეთის ცენტრს სამხრეთმა და ვოლგის მხარემ? იმიტომ რომ სწორედ იქითკენ მიისწრაფოდნენ ენერგიითა და სულიერის ძალით სავსე ახალშენელები; იმ ადგილებში არ იცოდნენ, რა იყო ბატონყმობა; ადგილ-მამულის სივიწროვესაც არ ჰქონდა ალაგი; ამას მიუმატეთ ის გარემოებაც, რომ შავი და აზოვის ზღვები ახლოა ამ ადგილებზე, რაც, ბუნების სიმდიდრესთან ერთად, ხელს უწყობდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და ამგვარად საზოგადოთ აწვითარებდა ადგილობრივ ცხოვრებას.

საცოდავი ცენტრი-კი საერთო მსხვერპლი შეიქნა რუსეთის მრავალტანჯულს ისტორიაში. რაც რამ კარგი იყო აქ, ყველაფერი გარბოდა ან განაპირა ქვეყნებში ან სატახტო ქალაქებში. არსად ისე სასტიკი არ ყოფილა ბატონყმობა, როგორც აქ; ბიუროკრატიაც აქ უფრო მძლავრი იყო; სათემო მიწათმფლობელობაც უხშობდა ადამიანს ინიციატივას; ადგილობრივი ბუნებრივი პირობებიც არ უწყობდნენ ხელს ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას; მიწა-წყლის ნაკლებობამ-კი მეტად დასცა და დაავსლურა ხალხი. ყველა ამ მიზნების გამო ცენტრი გაკოტრდა არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც. აქაური თავად-აზნაურობაც უფრო რეაქციონურ ძალას წარმოადგენს და იმედიც უფრო ხაზინის სხვა და სხვაგვარ მოწყალებისა აქვს...

სატახტო ქალაქებიდან პირველობა მოსკოვს ეკუთვნის, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო. პეტერბურგის ბიუროკრატია იზიდავს ქალაქის ყველა საუკეთესო ელემენტებს და რყვნის მათ; მაშინ როდესაც

---

*) „ნოვ." № 160.

მოსკოვი, თავის სიმდიდრითა და მძლავრის ინიციატივით, ანვითარებდა ვაჭრობა-მრეწველობას და აძლიერებდა დამოუკიდებელ კლასს, ამას გარდა მოსკოვი იმითაც იყო უფრო მძლავრი, რომ მეტი კავშირი ჰქონდა რუსეთთან...

ყოველ შემთხვევაში თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა თანდათან ძლიერდება, თანდათან ვრცელდება ყველა ადგილას და მალე მთელს რუსეთს მოედება...

ახალი ამბავი

◆ კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ტფილისის გუბერნიაში იმ ზარალის გამოსარკვევად, რომელიც მოჰყვა **გლეხთა მოძრაობას**, უნდა შესდგეს სამაზრო კომისიები. კომისიების თავმჯდომარედ იქნებიან მაზრის თავად-აზნაურთა მარშლები, წევრებად მაზრის უფროსები, მომრიგებელი შუამავლები, გადასახადთა ინსპექტორები, საპატიო მომრიგებელი მოსამართლეები და სოფლის საზოგადოების წარმომადგენელნი, თითოდან ორი მაინც.

◆ **გორი**. ამ „გაფიცვა-მოძრაობის“ დროს გორიც მოძრაობს. 21—22 ივნისს ჩვენი ვაჭრები და ხელოსნებიც გაიფიცნენ და მოკეტეს დუქან-სახელოსნოები. ასტყდა მათ შორის ფაცა-ფუცი: შეუდგნენ თადარიგს, სანოვაგის სამზადისს. ფაცა-ფუცი შეუდგა აგრეთვე პოლიციასაც: ძალით აღებინებდნენ, ან, სადაც ეს არ ხერხდებოდა, თვითონ აღებდნენ და ამტვრევდნენ მაღაზიებს. 23 ივნისს განახლდა ვაჭრობა და მუშაობა.

27 ივნისს აქ რევოლვერით დასჭრეს გორის მამასახლისის თანაშემწე სო. ტყვია გვერდში მოჰხვდა და მეორე მხარეზე გავარდა. ჭრილობა, როგორც ამბობენ, საშიშია. სა[illegible] წინად ხუროთ-მოძღვრად იყო გორში. დამჭრელი არ იციან ვინ არის და ვერც მიზეზი გაუგიათ.

◆ **თელავი**. 26 ივნისს თელავში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ალექსანდრე წულუკიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

27. 28 და 29 ივნისს თელავის ბაზარმა, ყველა ხელობის ხელოსანმა თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოუცხადეს ტფილისს იმით, რომ ბაზარმა აღარ ივაჭრა, ხელოსანთ აღარ იმუშავეს, სამი დღეა დაკეტილია ყველაფერი, გარდა მეპურის დუქნებისა. 28 და 29-ს სოფლებიდანაც აღარაფერი შემოუტანიათ, რადგანაც აუკრძალეს სანოვაგის შემოტანა. მცხოვრებნი თვით მიდიან სოფლებში და იქა ყიდულობენ ბოსტნეულობას, კვერცხს და ქათამს. სოფლად პური აკლიათ, თელავში ნაყიდ პურით მიდიან იოლად. ხალხი იკრიბება და სიამოვნებით ისმენს ნაამბობს ყველას თუ არა, უმრავლესობას მეტი სიცოცხლე ეტყვია.

◆ „ნოვოსტ“-ში შემდეგ ამბავს ვკითხულობთ: „ამას წინად მელიტოპოლის **სომეხ გრიგორიანთა ეკკლესიამ** შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ჩამორთმეული მამულები და ქონება. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ადგილობრივ გუბერნატორს, რომ, უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, რომლის ძალითაც სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის ქონებანი მთავრობის დაწესებულებათა ხელში უნდა იყოს, სამინისტროს შეუძლებლად მიაჩნია სომეხთა შუამდგომლობის შეწყნარება“.

◆ როგორც გორის მაზრის სოფ. ახალქალაქიდან გვატყობინებენ, ამას წინად ადგილობრივ **გლეხებს შეტაკება მოსვლიათ** თავ. არჩილ თარხნიშვილის მუშებთან. გლეხებს მოუთხოვნიათ მუშებისთვის, ხელი აეღოთ მუშაობაზე. შეტაკების დროს მომკვდარა ერთი კაცი. თვით თავ. თარხნიშვილი სოფელში არ არის თურმე.

◆ შორაპანში მარგანეცის ვაგონების დამტვირთველ-გადმომტვირთველ მუშებს 24 ივნისს **უარი უთქვამთ მუშაობაზე** და წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. მუშები თხოულობენ ფასის მომატებას და სამუშაო დღის შემოკლებას. ეს პირობები ამიერ-კავკასიის რკინის გზამ ხელ-საყრელად ვერ იცნო და ბაქოდან გამოიწერა თათარი მუშები. ამ დღეებში მუშებს მოელიან და ძველებს დაითხოვენ. მანამ-კი ტენგინის პოლკის სალდათები ტვირთავენ ვაგონებს.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს **გენერალს ი. ლ. მალამას** რუსეთიდან ტფილისში ამ დღეებში მოელიან.

◆ ამას წინად საგუბერნიო ადმინისტრაციამ **კახეთში სასოფლო ქსენონების** საქმეების გასაცნობად გაგზავნა საგუბერნიო ექიმის თანაშემწე რ. დ. მაჰავარიანი. ბ-ნი მაჰავარიანი უკვე დაბრუნდა ტფილისში.

◆ რადგან წელს შიში აღარ არის ტფილისის გუბერნიაში **ხოლერის გაჩენისა**, კავკასიის სამკურნალო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ტფილისის გუბერნიაში სამკურნალო ნაწილის მოსამსახურეთა შტატი შემცირდეს.

◆ 1 ივლისს ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან, ჩინეთ-აღმოსავლეთის გზაზე გაიგზავნა **ოცი კონდუქტორი**.

◆ გუშინ ჩვენს გაზეთში შეცდომით დაბეჭდილი იყო, რომ **წერა-კითხვის საზოგადოების** სეირნობის შემოსავალი იყო 1,300 მანეთი. ნამდვილად მთელი შემოსავალი მხოლოდ [illegible]0 მან. იყო აქედან წმინდა 400 მან. დარჩა.

◆ ტფილისის საბჭოში ხმ. ნ. ი. თამამშევმა მოხსენება შეიტანა. როგორც მკითხველებმა იციან, ხმ. ბაბოვმა წინადადება შეიტანა საბჭოში **ქალაქის მილიციის** დაწესების შესახებ. ბ-ნი თამამშევი წინაამდეგია ამისა და ურჩევს საბჭოს შუამდგომლობა აღძრას, რომ: 1. ტფილისში „გოროდნაჩალნიკი“ დაინიშნოს; 2. გაუქმდეს სრულიად მეეზოვეთა ინსტიტუტი; 3. ქალაქის პოლიციის საქმეები გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას. ქალაქის დაცვისა და წესიერების საქმე უნდა ჩაბარდეს გოროდნაჩალნიკს, რომელთანაც უნდა დაარსდეს საბჭო. ამ საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადმინისტრაციისა და ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა; 4. გადაეცეს ქალაქს საადრესო სტოლი და 5. დაარსდეს განსაკუთრებული არტელები ქალაქის მორწყვისა, დაგვა-დასუფთავებისა. ხმოსნის მიერ შეკრებილ ცნობებით, ქალაქში ამ ჟამად 2650 მეეზოვეა, რომელთა ჯამაგირებზე ქალაქის მცხოვრებთ წელიწადში ეხარჯებათ 475,000 მან. ამას გარდა აჭმევენ, ასმევენ, სახლს აძლევენ, ასე რომ 13,000 სახლის პატრონს ქალაქის მეეზოვეთა შენახვა უჯდება 850,000 მან.; ამას გარდა პოლიციის შესანახად იხარჯება 230,000 მან., ხოლო ქალაქის მოსარწყავად და დასასუფთავებლად 70,000 მან. სულ 1.150,000 მან. ხმოსნის აზრით, ქალაქმა რომ მოახერხოს და სრულიად გააუქმოს მეეზოვეთა ინსტიტუტი, ქალაქის მცხოვრებთ დარჩებათ 850,000 მან. რასაც სხვა რამ საკეთილო საქმეზე მოიხმარებენ. გარდა ამისა ქალაქის საპოლიციო ნაწილის შესანახად რეოგანიზაციის შემდეგ საჭირო იქნება სულ 357,180 მან. ამას უნდა მიემატოს ქალაქის დასუფთავება, დაწმენდა და მორწყვისათვის არტელების შესანახად საჭირო 204,160 მანეთი, ესე იგი, სულ ქალაქს 1,150,000 მან. ნაცვლად დაეხარჯება 561,340 მანეთი.

◆ 28 ივნისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში **მოხდა საჯარო ვაჭრობა** ბანკში დაგირავებულ 35 მამულის გასასყიდად. 35 მამულიდან გაიყიდა ამ დღეს მხოლოდ 7 მამული. დარჩენილ მამულებისთვის დამატებითი ვაჭრობა მოხდება 14 ივლისს.

◆ როგორც „ტიფ. ლ.“-ი გადმოგვცემს, 28 ივნისს რკინის გზით ტფილისში მოსულა ორი ძალიან მძიმე ყუთი. ჟანდარმის აფიცერს ეჭვი შეჰპარვია ამ ყუთებზე და როდესაც მეორე დღეს ყუთების მიმღები, ვის სახელზედაც გამოგზავნილი იყო ყუთები, ავლაბრელი გარეგინ ტარახჩიევი მისულა, გაუხსნიათ და შიგ **4000 პატრონა აღმოჩნდა თურმე**.

◆ 1 ივლისს, დილის 6 საათზე, ფესანაურის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, მოკლული ნახეს სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილების მსახური ვლადიმერ დობაზო, 47 წლისა. დობაზოსათვის ვიღაცას რევოლვერი უსროლია. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. ვერ გამოარკვიეს აგრეთვე მკვლელობის მიზეზიც.

◆ მაზრის უფროსის თანაშემწემ გუგუშვილმა, რომელიც გარეშემო მდებარე ადგილებსა და სოფლებს განაგებს, სთხოვა ტფ. მაზრის უფროსს კომისია დაინიშნოს ნამდვილ საზღვრების გამოსარკვევად ტფილისსა და ტფილისის მაზრას შუა

◆ 1 ივლისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოახდინა ქალაქის მეორე საობლიგაციო სესხის ტირაჟი ობლიგაციების გასანაღდებლად. განაღდებულ იქმნა 25.300 მან. ობლიგაცია.

◆ ახალქალაქის მაზრაში სახადი გაჩენილა. იქ გაიგზავნება ექიმი ბ-ნი მაჰავარიანი.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

ერთობ გაჭიანურდა სკოლის საზოგადოების წევრთა კრებები: ყოველ დღე ვიკრიბებით, ენაწყლიანობთ, ვთხუნჯობთ და მთელი ორი კვირა მოვანდომეთ სკოლის ანგარიშისა და ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ამ მღელვარე დროს, როცა ყოფნა-არ-ყოფნის საქმე სწყდება, ჩვენი სკოლა შედარებით ისე პატარა საქმეა, რომ თუ არ ქართველებში სხვაგან შეუძლებელი იქმნებოდა ასეთი უანგარიშობა, ამოდენა დროის დაკარგვა. მაგრამ სად ჩვენი საზოგადოება და სად ანგარიშიანობა და დროს დაფასება!

რა კი სკრის მამულს მორჩნენ, გასულ წლის ანგარიშში ბევრი სალაპარაკო არაფერი იყო, მაგრამ ანგარიში ისე უხერხულად, არეულ-დარეულად არის შედგენილი, რომ თითქმის ყოველი მუხლი გაუგებრობას იწვევდა და ბატონი ცხვედაძე ან ბუხჰალტერი იძულებული იყვნენ ვრცელი განმარტებანი წარმოედგინათ შემკითხველებისათვის.

ანგარიში დაამტკიცეს და თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სკოლის მასწავლებელს კორხანიძის, რომელსაც ერთი წინა სხდომაზე მთავრობის აგენტობა და ჯაშუშობა დასწამეს; საშინელი ბრალი დამდეს, კომიტეტის წევრმა ცხვედაძემ დაამოწმა ეს ბრალდება და საშუალება მომეცით თავი ვიმართლოთ; ვთხოვ საზოგადოებას ამოირჩიოს რამდენიმე კაცი, ამათ გაარჩიონ ჩემი საქმე და გამოარკვიონ, მართლა მოღალატე ვარ თუ არა. ბ. ცხვედაძემ გამოაცხადა—ჩემი ბრალდება მხოლოდ კორხანიძის სახელმძღვანელოს ეხებოდა, იგი მავნებელ ტენდენციით არის შედგენილი და ამიტომ იყო, რომ კორხანიძის თავიდან მოშორება მწადდა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ საზოგადოებამ აირჩია შვიდ წევრიანი კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს კორხანიძის ზნეობრივი პიროვნება.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ საზოგადოებამ შესაფერისად ვერ ისარგებლა ამ შემთხვევით და დიდ-მნიშვნელოვანი პრინციპიალური საკითხი, რომელიც ბ. სურგულაძემ წამოაყენა, ერთხელ და სამუდამოდ არ გადასწყვიტა: კომიტეტმა და სკოლის ყოფილმა გამგემ დაარღვიეს მთავარი პრინციპი ჩვენის სკოლისა—სახელდობრ ის, რომ უმაღლეს კლასებში უთუოდ ქართულის მცოდნე იყვნენ ყველა მასწავლებლები. სრული ცხრა წელიწადია ეს პრინციპი უარ-ყოფილია ჩვენ სკოლაში და კომიტეტი კი ყოველ წელს უენებს საზოგადოებას—სწავლის საქმე კარგად და წესიერად სწარმოებსო. ნუ თუ საზოგადოებას საყვედური მაინც არ უნდა გამოეცხადებია გამგე კომიტეტისათვის და არ დაედგინა შემდეგისათვის არ გაბედოთ ასეთი შეუწყნარებელი დარღვევა პედაგოგიის ელემენტარულ პრინციპებისაო?

შეუდგნენ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. საზოგადოების წინადადების თანახმად კომიტეტმა ოთხი ათას მანეთით შეამცირა განზრახული ხარჯთ-აღრიცხვა, რომ ამ ფულით დახმარება გაეწიოს ქართულ თეატრს, რომელიც ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

სკოლის ექიმს, თანახმად ბ ვირსალაძის წინადადებისა, 2000 მანეთი დენიშნა; ზოგს ებევრა ეს ჯამაგირი; სხვათა შორის, ექიმ გაბაშვილსაც, რომელიც ამტკიცებდა, რომ სკოლის დღევანდელ სადგომში, რომელიც უფრო თავლას ჰგავს, ორი ათას მანეთიან ექიმის ყოლა მეტი არისო. ბ. ვირსალაძის განმარტებით, ამ ექიმის საქმე მარტო ავადმყოფობის მკურნალობა კი არ იქნება, მან უნდა შეისწავლოს ფიზიკური და ფსიხიური მხარე მოსწავლისა, იყოს წევრი პედაგოგიურ საბჭოსი და ამ გვარად პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს აღზრდის საქმეში.

ხარჯთ-აღრიცხვის მიღების შემდეგ კრებას წაუკითხეს თხოვნა სკოლის ყოფილ მასწავლებლის ბ. გ. ახლაძისა. ახლაძეს 21 წელიწადი უმსახურნია, უკანასკნელ წელს მძიმე ავადმყოფობა გამოუვლია და შრომის უნარი სრულიად დაჰკარგვია; დღეს პენსია აქვს დანიშნული, მაგრამ ოცდა მეერთე წლის პენსია არ მიუღია და საზოგადოებასაც ამ ფულს სთხოვდა.

კომიტეტი წინააღმდეგი არ იყო ახლაძისათვის ფულის მიცემისა: მხოლოდ იმას თხოულობდა, რომ საზოგადოებას წყარო გამოენახა, რადგან საპენსიო თანხიდან, წესდების ძალით, ახლაძეს ფული არ ერგებოდა; წესდებას ვერ დავარღვევთო, ამბობდნენ კომიტეტის წევრები. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, წესდების ასეთი პატივისცემა კომიტეტის წევრების მხრივ ცოტა დაგვიანებული ყოფილა: საპენსიო წესდება კომიტეტს კარგა ხანია დაურღვევია. ბ. სურგულაძემ უთხრა კომიტეტს—ავადმყოფ ახლაძე რომ გთხოვთ ფულს, წესდებას იხვევთ ხელზე და უარს უბნებით; თავაიშვილი კი, რომელიც დღესაც სამსახურს ეწევა მთავრობის სასწავლებელში, 800 მანეთის პენსიის მაგიერ ათასს აძლევთ წელიწადშიო. საზოგადოებისათვის ეს ამბავი აღმოჩენა იყო და ერთხმად დაადგინეს—ეძლიოს პენსია თავაიშვილს თანახმად წესდებისა (800) და რაც მეტი წაუღია წელს (200), დაუბრუნდეს საპენსიო თანხას; გ. ახლაძეს მიეცეს შემწეობის სახით 700 მ. მხოლოდ არა საპენსიო თანხიდან. სხდომას კომიტეტის სამი წევრი დაესწრო და სამი სხვა-და-სხვა აზრი გამოსთქვეს ამ საქმის გამო: ბ. ცხვედაძემ სთქვა, შეცდომა მოგვივიდაო, თ. მაჩაბელმა—საგანგებო დამსახურება მივიღეთ სახეში და ამიტომ მივეცით მეტიო; ბ. ვირსალაძე კიდევ სულ სხვას გაიძახოდა—ავადმყოფობის მიზეზით დაანება თანამდებობას თავი თავაიშვილმა და ამიტომ დავუნიშნეთ ზედ მეტი პენსიაო.

შემდეგ სხდომაზე სკოლის რეორგანიზაციაზე იქნება მსჯელობა.

W.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

30 ივნისი

პეტერბურგი, 1 ივლისი. ოფიციალური. რადგანაც მურავიოვი ავად გახდა, ამიტომ მის ადგილზე, რუსეთის რწმუნებულად დაინიშნა ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად სტატს-სეკრეტარი ვიტტე.

„პრავ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია. გასულ ორ კვირის განმავლობაში ტფილისში რევოლუციონერმა პარტიებმა ძლიერი სიბეჯითე გამოიჩინეს და თავიანთი მოქმედება მოიმარჯვეს ადგილობრივ ეკონომიურ ცხოვრების მსვლელობის შესაფერხებლად და აშკარა ბრძოლა დაუწყეს წესიერების მომხრეთ, როგორც კერძო პირებში, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მკვიდრთა დასაცველად გამოწვეულ ჯარს. 13 ივნისს ტფილისის რკინის გზის სახელოსნოებისა და დეპოს რუს მუშების ერთს ჯგუფს, რომელიც გაფიცვის წინააღმდეგი იყო, კრება ჰქონდა; იმავე დღეს საღამოს მოჰკლეს ამ პარტიის ორი მეთაური, მესამის კი მოკვლა განიზრახეს, მაგრამ ვერ მოიყვანეს სისრულეში განზრახვა. სავაგონე საამქროს ბრიგადირი ივანე რაკი ქუჩაში დაჰკლეს, სამჭედლო საამქროს ფეჩის მაკეთებელი ნიკოლოზ სვეჩნევი მის ბინაზე მოჰკლეს ტყვიით. როცა მეორე დღეს, რკინის გზის სახელოსნოებთან შეიკრიბა ამ ამბით აღელვებული ბრბო, ათას კაცისაგან შემდგარი და სჯა-ბაასი გამართა, როგორ მოესპო ამნაირი ბოროტ-მოქმედებანი, მას რევოლვერები დაუშინეს სახელოსნოში დარჩენილმა მუშებმა. ამან აიძულა რუსი მუშები ქალაქ გარედ გასულიყვნენ მოსალაპარაკებლად. როცა ბრბო ერთს საჩაისთან მიდიოდა სამმა მკვიდრთაგანმა მუშამ ქვების სროლა დაუწყო მიმავალთ, შემდეგ ერთი მათგანი შეხტა სკამზე, დაიჭირა ხელში პროკლამაცია და რევოლუციონურ შინაარსის სიტყვის წარმოთქმა იწყო. ბრბო მივარდა ამ პირთ და დაუწყო ცემა, მაგრამ რკინის გზის ჟანდარმთა პოლიციამ გზა გადუღობა მას და დაატუსაღა ისინი. მუშები დამშვიდნენ და უარი განაცხადეს თვითგასამართლებაზე იმის შემდეგ, როცა პოლიციმეისტერმა სიტყვა მისცა მათ, რომ იგინი ბეჯითად იქნებიან დაცული და შეუდგნენ იმაზე ლაპარაკს თუ რა ზომები იხმარონ მოქმედების თავისუფლების დასაცველად. იმავე 16 ივნისს, ასე საღამოს 10 საათზე, ტფილისის იმ უბანში, საცა მუშები სცხოვრობენ, ტფილისის პოლიცმეისტერს დუქნიდან რევოლვერი ესროლეს მაგრამ, საბედნიეროდ ვერ მოარტყეს. დაუყონებლივ გაჩნდა ამ ადგილას კაზაკთა პატრული და დაატუსაღა ორი მოსამსახურე დუქნისა. ერთის საათის შემდეგ იქ 30 ქალაქის განაპირას დაეცნენ ქვეით ჯარის კაცთა პატრულს; დაიჭირეს ხუთი სომეხი, ერთი რუსი და თორმეტი სხვა ეროვნებისანი. მეორე დღეს დილით, 17 ივნისს, ხელ-ახლა დაეცნენ კონსერვატორ მუშათა პარტიის მესამე ხელმძღვანელთაგანა ბორიშჩევს, მაგრამ ფუჭად. ბოროტ-გამზრახველი უკანასკნელმა დასჭრა ფეხში და ძლიერ იქნა ნაცემი მის ამხანაგების მიერ. ადგილობრივ პოლიციის განკარგულებით რკინის გზის სახელოსნოებს ჯარი დაუყენეს მცველად. 20-ს ტფილისში დაიწყო საერთო გაფიცვა. გაიფიცნენ სახელოსნოების ყველა მუშები 600 რუს-მუშას გარდა. გაფიცულთ შეუერთდნენ კერძო სახელოსნოებისა და სტამბების მუშებიც. ყრილობებზე და პროკლამაციებით ითხოვდნენ, კაზაკების დათხოვნას, ყველგან პატრულების მოხსნას და მილიციის დაარსებას. 21 ივნისს რუსს მუშებსაც შეეშინდათ მოკვლისა და იმათაც შესწყვიტეს მუშაობა. გაფიცულთ რიცხვს ტრამვაიზე მომუშავენიც მიემატნენ. 22 ივნისს უფრო გაძლიერდა გაფიცვა. გაიფიცნენ ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი, ქალაქის წყლისა და ნავთის მილების მუშები. ქალაქი გაუნათებელი დარჩა. დაიხურა ყველა ბაზარი. მუშაობდნენ მხოლოდ ფურნეებში. რუსი მუშები მხოლოდ ნახევარი დღე არ მუშაობდნენ, ჩქარა მუშაობა დაიწყო 800 კაცმა, მეორე დღეს კი მათი რიცხვი ათასამდე ავიდა. რუსებთან ერთად მუშაობას არ ანებებდნენ თავს თათრებიც, რომელნიც ჩვეულებრივად ვაჭრობდნენ. 23 ივნისს კაზაკთა პოლკის მეექვსე სოტნის სადგომთან, საღამოს ლოცვად რომ ემზადებოდნენ, მემუსიკეთა კამანდას ხალხიდან ბომბა ესროლეს, რომელიც საბედნიეროდ აღარ გასკდა. მსროლელი ვერ აღმოაჩინეს. მეორე დღეს 24 ივნისს, ტფილისის სხვა და სხვა ადგილებში სამ ადგილას განიზრახეს ბომბით დახოცვა. ერთი. ასე 9 საათზე, გაისროლეს თათრის მოედანზე, რომელმაც იფეთქა და მძიმედ დასჭრა პოლიციის ბოქაული და უბნის ზედამხედველი, სასიკვდილოდ დასჭრა ვაჭრი სომეხი და მსუბუქად ორი გამვლელი. იმავე დროს ერთის სახლის ახლო მდგომ კაზაკთა პატრულს ესროლეს ბომბა სახურავიდან და მოჰკლეს ორი კაზაკი და დასჭრეს ერთი მეეზოვე და გამვლელი მოქალაქე. სახლის სახურავზე დაიჭირეს მასში მცხოვრებლები, რომელნიც გაურბოდნენ კაზაკებსა და პოლიციას. მესამე ბომბა დანიშნული იყო კაზაკთა რაზმისთვის და გადაისროლეს კლდიდან ქალაქის განაპირას, მაგრამ არ გამსკდარა. 25 ივნისს ბოროტ-გამზრახველების ასეთი ანარქიული მოქმედება იმით დაბოლოვდა, რომ მოჰკლეს სამი და დასჭრეს 11 გამვლელი. ამ საღამოს, როცა ქალაქი ბნელით იყო მოცული, საერთო გაფიცვის გამო. ოლგინის ქუჩის ბოლოში, როცა რამდენიმე ფაიტონმა ჩაიარა, ერთ მათგანიდან, რომელიც გადახურული იყო, გადაისროლეს ლითონის ბომბა. აფეთქებამ მოჰკლა მეეზოვე, გოროდოვოი და გამვლელი თათარი, მძიმედ [illegible] ექიმი ტეხნიკი, მეორე მეეზოვე და ერთიც ქართველი, მსუბუქად ორი მანდილოსანი ბავშვებით და 4 სხვა გამვლელი ფაიტონი დამნაშავეებითურთ სწრაფად მიიმალა ბნელში. იმავე დღეს, როცა უბნის ზედამხედველი ერთს სომეხს იჭერდა, უკანასკნელმა რევოლვერით გული გაუხვრიტა ზედამხედველს ილიინს. იქვე მდგომმა კაზაკმა ხმლის დარტყმით გააგორა დამნაშავე, რამაც არეულობა და სროლა ასტეხა იმ უბანში მცხოვრებთა და კაზაკებს შორის. თანახმად მოხსენებისა, ამ შეტაკების შემდეგ, ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს თოფით დაჭრილი ერთი სომეხი და ერთიც ქალი. დაშავდა, თუ არა კიდევ ვინმე, ვერ გამოირკვა. 24 ივნისს ბოროტ-გამზრახველთა მისწრაფებამ განადგურებისადმი ახალი მიმართულება მიიღო. შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდებინათ ნავთის საწყობისათვის, რომელიც ქალაქის ცენტრშია, მაგრამ პოლიციამ თავის დროზე მოუსწრო და დაატუსაღა დამნაშავენი. 26 ივნისს, პოლიციის სიფხიზლის წყალობით, დღის 3 საათზე ქუჩაში დაიჭირეს ქართველი ქალი, კალათით, რომელშიაც სამი გატენილი ბომბა იყო. იმავ დღეს დაჭერილ იქნა 7 კაცი, რომელნიც ბომბის და მისს ნაწილების კეთებაში იქნენ ბრალდებულნი. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ამგვარად მომზადებულ ნაწილებისაგან ბომბებს აკეთებენ ერთს აგარაკზე, რომელიც იმყოფება ტფილისის მაზრაში, მცხეთასა და ავჭალას შორის. ამიტომ 28 ივნისს, დაბინდების შემდეგ, კაზაკთა კამანდა, ჟანდარმების როტმისტრის უფროსობით, ჩუმად შემოერტყა ამ შენობას, შევიდა შიგ და დაიჭირა მთელი ლაბორატორია იმ ბომბების ინსტრუქციისა, რომელთაც გასულ დღეებში ისროდნენ ტფილისში. აგარაკზე ნაპოვნ მასალათა რიცხვში აღმოჩნდა 24 ჯერ კიდევ სრულიად არ დასრულებული ბომბი, 4 დინამიტით გატენილი, რამდენიმე ფუთი დინამიტი, კონა-კონად შეკრული (500 კონა) აგრეთვე ნიტროგლიცერინი, შუშა გრეინავი ვერცხლის წყლით და ბიკფორდის ზონრები. იქვე დაიჭირეს სამი კაცი რომელთაც უარი სთქვეს თავიანთ ვინაობის დასახელებაზე, მათ რიცხვში ლაბორანტი, რომელსაც უნდოდა აეფეთქებინა აქაურობა, მაგრამ ვერ მოახერხა, უბნის ზედამხედველის თავგანწირვის წყალობით. როცა ჩხრეკდნენ იქაურობას ბაღებიდან გაისმოდა რევოლვერებისა და თოფების სროლა, რაზედაც კაზაკებმაც სროლითვე უპასუხეს და ბაღის დათვალიერებისას ჩირგვებში იპოვნეს უცნობი კაცი მძიმედ დაჭრილი. დაატუსაღეს სულ თორმეტი კაცი ამ საქმეში მონაწილე, რომელთაგან მთავარმა მოქმედმა, ბომბების კეთების ხელმძღვანელმა თავი ჩამოიხრჩო 29 ივნისს ღამით ციხეში საკუთარის ქამრით. რადგანაც საერთოდ მდგომარეობა საშიში იყო, ზემოხსენებულ ტერორისტულ ხასიათის გამო, კავკასიის ნამესტნიკმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა უქვეშევრდომილესად აღძრა შუამდგომლობა, შემოღებულ ყოფილიყო ტფილისსა და მისს მაზრაში სამხედრო დებულება, რაც შეწყნარებულ იქნა 27

შანხაი, 1 ივლისი. ჩინეთის ფოსტის კანტორა იუწყება, ნიუჩუანსა და მანჯურიის ყველა დასავლეთ ქალაქებს შორის ხარბინამდე შეწყვეტილია მიმოსვლაო.

მოსკოვი, 1 ივლისი. ქალაქის თავმა ხმოსნებს აცნობა, საერობო და ქალაქების სიეზდი არ შედგება გენ.-გუბერნატორის განკარგულების გამო. გრადონაჩალნიკის მკვლელი ციმბირელია, პეტერბურგში მასწავლებლად ყოფილა. მან განაცხადა, სოციალისტ-რევოლუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციას ვეკუთვნი, რომელმაც სიკვდილი გადაუწყვიტა შუვალოვსო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ივლისი.

ლონდონი. ინგლისსა და იაპონიას შორის საურთიერთო შეთანხმება მოხდა დასავლეთის საზღვრის შესახებ, რომლითაც ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ადგილებზე მიღებულია. ლანსდოუნმა განაცხადა პალატაში, რუსების მიერ ჩინეთის ზღვაზე ინგლისის გემების დაჭერის შესახებ ამ ბოლო თვეებში ვინაიდგან რუსების სასამართლო ვლადივოსტოკში. „[illegible]ხსნ“-ის საქმეში რუსების მიერ დაჭერილი ტვირთის ფასი გადახდილ იქნება, „არდოვის“ შესახებ გადაეგზავნებათ ზარალის ნაწილი. გემ „ალდანტონ-“ზე სრულიად დაკმაყოფილდეს [illegible] ხაუ-“ის დაჭერის შესახებ მისი პატრონი კმაყოფილი გახდა წარდგენილ მოთხოვნათ 80%-ის მიღებით. კაპიტანი [illegible], რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინად საზღვაო სავაჭრო გზა გახსნა კარისკის ზღვით [illegible] ხელ ახლა აძლევს წინადადებას [illegible] მთავრობას კიდევ გაუმართოთ [illegible]ისა და სხვა ტვირთის [illegible] ამ გზით შემსუბუქებულ იქნას [illegible] მიმოსვლაო.

ვაშინგ[illegible] ბარონი როზენი მიიღო [illegible]ზე.

რედაქტ[illegible] ალ. ბ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 1 Іюль 1905 г.
печ. груз. изд. т—ва. ელექტრონ[illegible] ბ. გამომ. ამხ—სა